თემა: სამეგრელო (20 საათი)
ძირითადი სასწავლო რესურსები - „მოგზაურობა სამეგრელოში“ (სახელმძღვანელოდან „მოგზაურობა საქართველოში“)

გრძელვადიანი მიზანი: ქვემოთ მოცემული სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების არსობრივი მახასიათებლები გააზრება		**მოკლევადიანი მიზანი:** ტექსტის საფუძველზე შემდეგი საკითხების შინაარსის გააზრება.
სამიზნე ცნება	**სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული ქვეცნებები**	**საკითხები, რომლებიც გამოიყენება სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებზე გასააზრებლად**
სივრცე (შედეგი 1)	გეოგრაფიული ობიექტი	
	გეოგრაფიული / სტიქიური მოვლენა	
	დასახლებული პუნქტი	
	საკურორტო-რეკრეაციული ზონა	
	დაცული ტერიტორია (ეროვნული პარკი)	**კოლხეთის ეროვნული პარკი** (პალიასტომის ტბა)
მეურნეობა (შედეგები 2, 3, 4)	სოფლის მეურნეობის დარგი (მეფიტკრეობა) (მესაქონლეობა)	**მუხურის ფუტკარი** **კვარაცხელიას ძროხები**
	ხელოსნობისა და შინამრეწველობის დარგი	
	ტურიზმი	
	მრეწველობა	
დრო (შედეგები 3, 5)	ისტორიული პერიოდიზაცია (ისტორიის დაყოფა სამეფოების მიხედვით)	**კოლხეთის სამეფო** (არქეოპოლისი)
	ისტორიული ეპიზოდი (რეფორმა) (აჯანყება) (აღმშენებლობა)	**ჭყონდიდი** (გიორგი ჭყონდიდელი და დავით აღმაშენებელი) **ცოტნე დადაინის გმირობა** **დადიანების სასახლე** (ეკატერინე ჭავჭავაძე (ბოტანიკური ბაღი))
	ზეპირი ტრადიცია (მითი)	**მითი არგონავტების შესახებ**
მრავალფეროვნება (შედეგი 4)	მატერიალური კულტურა (საზოგადოებრივი ნაგებობა) (კვების ტრადიციული სისტემა)	**დადიანების სასახლე** (ეკატერინე ჭავჭავაძე (ბოტანიკური ბაღი)) **მეგრული სამზარეულო**
	სულიერი კულტურა	
	წერილობითი კულტურა	
	პროფესიული კულტურა	
	საზოგადოებრივი ყოფა	
საზოგადოება (შედეგი 5,)	საზოგადო მოღვაწე (ისტორიული პიროვნება)	**ნიკო ნიკოლაძე**
	ტრადიცია	
	ღირებულებები	
სახელმწიფო (შედეგები 5, 6)	სახელმწიფოს ფუნქციონირება (პრინციპები)	**ჭყონდიდელის თანამდებობა (სეკულარიზმი)** **ბატონ-ყმობა (XIX საუკუნეში),** კანონის წინაშე თანასწორობა
	ადამიანის ფუნდამენტურ უფლებები (კოლექტიური უფლებები)	**ფოთის საზღვაო ნავსადგური** **ენგურის წყალსაცავი**
	სოციალური პრობლემები	

სკოლის მისია - მოსწავლის პიროვნული (ემოციურ-სოციალურ-კოგნიტურ-ფიზიკური) განვითარება

კომპლექსური დავალება

წარმოიდგინეთ თავი მოთხრობის „მოგზაურობა საქართველოში“ მთავარი პერსონაჟების ლაშასა და გიორგის ადგილას, რომლებიც „საქართველოს მოყვარულთა კლუბში“ გაწევრიანდნენ. კლუბის წევრები მთელი საქართველოს მასშტაბით მოძრაობენ და ერთმანეთს საკუთარ შთაბეჭდილებებს უზიარებენ. თქვენ სამეგრელოს შესახებ გევალებათ ცოდნის გაზიარება.

მისწერეთ წერილები „საქართველოს მოყვარულთა კლუბის წევრებს“, რომელიც სამეგრელოში თქვენი მოგზაურობის შესახებ. პირველი წერილი მიუძღვენით ფოთს, მეორე - ზუგდიდს.

ნაშრომში / ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:

- რამდენად და რატომ განსხვავდება სამეგრელოს ბუნება და ლანდშაფტები საქართველოს სხვა მხარეებისგან?

  (სამიზნე ცნება - სივრცე)
- რა გავლენას ახდენს გეოგრაფიული პირობები სამეგრელოს მოსახლეობის ყოფაზე და რეგიონის განვითარებაზე?

  (სამიზნე ცნება - მეურნეობა)
- რამდენად, რით და რატომ განსხვავდება სამეგრელოს ყოფითი ტრადიციები საქართველოს სხვა მხარეებისგან?

  (სამიზნე ცნება - საზოგადოება, დრო, მრავალფეროვანება)
- როგორ ზრუნავს სახელმწიფო რეგიონის განვითარებაზე/რეგიონში არ,სებული პრობლემების გადაჭრაზე?

  (სამიზნე ცნება - სახელმწიფო)

კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა გრძელდება დაახლოებით 20 გაკვეთილის განმავლობაში. მან უნდა უზრუნველყოს ერთი მხრივ **სამიზნე ცოდნის კონსტრუირება,** მეორე მხრივ კი - მოსწავლის **ენობრივი კომპეტენციების** განვითარება. საამისოდ საჭირო იქნება:

- <u>განხორციელდეს ქვემოთ მოცემული აქტივობები</u>, რომლებიც მოსწავლეს კომპლექსური დავალების შესრულებაში დაეხმარება;
- <u>განხორციელდეს ენობრივი აქტივობები</u> **(დანართი (ენობრივი აქტივობები),** რათა მოსწავლემ ქართულ ენაზე შეძლოს კომპლექსური დავალების პრეზენტაცია.

საჭირო იქნება, ასევე, <u>მაორგანიზებელი სქემების</u> გამოყენება **(დანართი 4),** რომლებიც მოსწავლეებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის მთელი პროცესის განმავლობაში ექნებათ თვალწინ.

ეტაპი 1 კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

ამ ეტაპზე მოსწავლეები ეცნობიან კომპლექსური დავალების პირობას. თანხმდებიან მასწავლებელთან, თუ როდის და რა ფორმით წარმოადგენენ დავალებას; ვინ, რაში და როგორ უნდა დაეხმაროს მათ კომპლექსური დავალების შესრულებაში.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს საქართველოს რუკაზე იპოვონ:

- ის მხარე, სადაც თავად ცხოვრობენ;
- იმერეთი და აჭარა, ანუ მხარეები, რომლის შესახებაც უკვე შეასრულეს კომპლექსური დავალება;
- სამეგრელო, ანუ მხარე, რომელის შესახებაც მომდევნო 20 გაკვეთლის განმავლობაში იმუშავებენ.

გააცნობს კომპლექსური დავალების პირობას **(იხ. გვ. 2),** რის შემდეგაც ახორციელებს <u>რამდენიმე აქტივობას</u> დავალების არსის გააზრებაში მოსწავლეების დასახმარებლად.

აქტივობა 1. რით განსხვავდება წერილი დღიურისგან?

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს გაიხსენონ მიუწერიათ თუ არა წერილი ახლობელი ადამიანისთვის (მეგობრისთვის, ნათესავისთვის, ოჯახის წევრისთვის და სხვა); გადმოსცენ წერილის შინაარსი.

შეახსენებს ასევე, რომ თემაზე „იმერეთი“ მუშაობისას მათ უკვე შექმნეს დღიური, რომელიც ლაშასა და გიორგის ჭიათურაში მოგზაურობას ასახავდა. სთხოვს გამოკვეთონ განსხვავებები დღიურსა და წერილს შორის:

	დღიური	**წერილი**
მსგავსება		
განსხვავება		

განხილვის პროცესში მასწავვლებლები და მოსწავლეები გამოკვეთენ წერილის არსობრივ მახასიათებლებს:

- **მისალმება** და იმის ხაზგასმა თუ ვის წერთ წერილს;
- **ძირითადი ნაწილი,** სადაც გადმოცემული იქნება მთავარი სათქმელი;
- **შეჯამება**
- **ავტორის ხელმოწერა**

აქტივობა 2. ვინ არის წერილის ადრესატი?

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს გაიხსენონ იმ კლუბის შესახებ, რომელშიც აჭარაში მოგზაურობისას ლაშა და გიორგი გაწევრიანდნენ. მათან ერთად კიდევ ერთხელ განიხილავს შემდეგ საკითხებებს:

- რა აერთიანეთ კლუბის წევრებს?
- რა სახელი შეიძლება დაერქვას ამ კლუბს?
- რატომ გადაწყვიტეს ლაშამ და გიორგიმ ამ კლუბში გაერთიანება?
- გამოთვით ვარაუდი რით იქნებიან დაკავებული კლუბის სხვა წევრები იმ დროს როცა ლაშა და გიორგი იმ დროს, როცა ლაშა და გიორგი მათთვის სამეგრელოსთან დაკავშირებულ წერილებს მოამზადებენ?
- როგორ შეიძლება მიმართონ ლაშამ და გიორგიმ კლუბის წევრს ერთად (წერილის წერისას)?

აქტივობა 3. **„მოლოდინების ხე“**

მასწავლებელი მოსწავლეებს შეახსენებს ტერმინის „სავიზიტო ბარათი“ მნიშვნელობას და სთხოვს განვლილ მასალზე დაყრდნობით ფურცლებზე დაწერონ - რა შეიძლება მოვიაზროთ „სავიზიტო ბარათად“ განვლილ თემებთან მიმართებით.

მოსწავლისთვის მშობლიური მხარე	იმერეთი	აჭარა

მასწავლებელი მოსწავლეებს აყურებინებს ორ მოკლე იდეო-რგოლს:

https://www.youtube.com/watch?v=CAOsuV9aYBw

https://www.youtube.com/watch?v=nLCw4Vpy6jE

სთხოვს, ვიდეო-რგოლებზე დაფუძნებით გამოთქვან ვარაუდი იმის შესახებ, თუ რით არის საინტერესო სამეგრელო და რა ტიპის მასალაზე მუშაობა ელით მათ ახალ თემაზე მუშაობისას. მოსწავლეები ფურცელზე ჩამოწერენ მოლოდინებს, რომლებიც ჩამოუყალიბდათ სასწავლო თემასთან „სამეგრელო“ მიმართებით.

კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პირველი ეტაპის შეჯამების სახით მასწავლებელი მოსწავლეებს:

- ეკითხება რამდენად გასაგებია მათთვის კომპლექსური დავალების პირობა;
- აძლევს ტექსტს სამეგრელოსთან დაკავშირებით, რომლის საფუძველზეც მათ კომპლექსური დავალება უნდა შეასრულონ;
- შეახსენებს რომ მომდევნო დაახლოებით 20 გაკვეთილის განმავლობაში ისინი მოცემული ტექსტის გააზრებაზე და კომპლექსური დავალების შესრულებაზე იქნებიან კონცენტრირებული;
- შეახსენებს იმასაც, რომ შესრულებული კომპლექსური დავალება უკლებლივ ყველა მოსწავლემ უნდა წარმოადგინოს;
- სთხოვს გაიხსენონ რა კომპლექსური დავალება შეასრულეს პირველ თემაზე „იმერეთი“ მუშაობისას. სთხოვს გააანალიზონ - რა გამოუვიდათ კარგად? რა დაბრკოლებებს წააწყდნენ?

ბოლოს კი თითოეულ მოსწავლეს სთხოვს ქვემოთ მოცემული გრაფის შევსებას შემდეგი საკვანძო სიტყვების გამოყენებით **„შევქმნა“, „საკუთარი ცოდნა წარმოვაჩინო“, „გავაანალიზო“, „შევისწავლო“.**

რა იქნება კომპლექსურ დავალებაზე შენი მუშაობის შედეგი?	მე შევძლებ .....

მასწავლებელი უკუკავშირს აძლევს თითოეულ მოსწავლეს და ეხმარება შუალედური სასწავლო მიზნის უკეთ ჩამოყალიბებაში. შემდეგ კი თითოეული მოსწავლის პასუხი გადააქვს ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

შუალედური სასწავლო მიზანი 3.

თემა - სამეგრელო

მოსწავლის სახელი და გვარი	მოსწავლის პასუხი შეკითხვაზე - რა იქნება კომპლექსურ დავალებაზე შენი მუშაობის შედეგი?
1.	
2.	
3	

ეტაპი 2. კომპლექსური დავალების შინაარსი

ამ ეტაპზე მასწავლებელი და მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს „მოგზაურობა სამეგრელოში“, პარალელურ რეჟიმში კი ახორციელებენ აქტივობებს, რომელიც ბავშვებს ტექსტის შინაარსის უკეთ გააზრებასა **(აქტივობები ტექსტის დასამუშავებლად იხ დანართებში 1,2,3)** და სამიზნე ცოდნის (სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვესაკითხები) კონსტრუირებაში დაეხმარება.

ქვემოთ მოცემულია რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის სამიზნე ცოდნის კონსტრუირებასთან დაკავშირებით. რეკომენდაციები დაჯგუფებული სამიზნე ცნებების მიხედვით:

- სივრცე
- მეურნეობა
- საზოგადოება
- მრავალფეროვნება
- დრო
- სახელმწიფო

თითოეულ სამიზნე ცნებასთან აღნიშნულია თემასთან „სამეგრელო“ დაკავშირებული რომელი საკითხები უნდა იქნას გამოყენებული სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გასააზრებლად.

სამიზნე ცნება - **სივრცე**

სამიზნე ცნება მუშავდება საკითხის - კოლხეთის ეროვნული პარკი საშუალებით.

აქტივობა 1. რა არის ლანდშაფტი

მასწავლებელი მოსწავლეებს შეახსენებს კრიტერიუმებს, რომლითაც სხვადასხვა მხარის ლანდშაფტების ერთმანეთთან შედარება შეიძლება. სთხოვს კიდევ ერთხელ შეავსონ ცხრილი, რომელზეც უკვე იმუშავეს პირველი ორი თემის ფარგლებში:

შეადარეთ ერთმანეთს საქართველოს მხარეებისთვის დამახასიათებელი ლანდშაფტები ცხრილში მოცემული კრიტერიუმების მიხედვით:

კრიტერიუმი	**მშობლიური მხარე**	**ჭიათურა**	**აჭარა**
მცენარეები			
ცხოველები			
რელიეფი			
წყლები			
ნიადაგი			
ამინდი			

შემდეგ სტუდენტებთან ერთად კითხულობს ტექსტის „მოგზაურობა სამეგრელოში“ იმ ნაწლის, რომელიც კოლხეთის ეროვნულ პარკს ეხება და აყურებინებს მათ ტელე-სიუჟეტს იგივე საკითხთან დაკავშირებით https://www.youtube.com/watch?v=sAQRag4iwxQ ავალებს მოსწავლეებს შეავსონ ცხრილის კიდევ ერთი დამატებითი უჯრა სამეგრელოს ბუნებასთან (უფრო სწორად კოლხეთს ეროვნულ პარკთან დაკავშირებით).

შეადარეთ ერთმანეთს საქართველოს მხარეებისთვის დამახასიათებელი ლანდშაფტები ცხრილში მოცემული კრიტერიუმების მიხედვით:

კრიტერიუმი	**შენი მშობლიური მხარე**	**ჭიათურა**	**აჭარა**	**სამეგრელო**
მცენარეები				
ცხოველები				
რელიეფი				
წყლები				
ნიადაგი				
ამინდი				

აქტივობა 2. რას ნიშნავს დაცული ტერიტორია?

მასწავლებელი მოსწავლეებს შეახსენებს, რაც მათ უკვე იციან ბუნებისმეტყველების კურსიდან - დედამიწა დროთა განმავლობაში საკმაოდ ხშირად იცვლის იერ-სახეს. სთხოვს იმის ინტერპრეტირებას თუ რატომ არის განთავსებული ქვემოთ მოცემული სამი სურათი ერთმანეთის გვერდიგვერდ:

იურული პერიოდი **გამყინვარების ეპოქა** **თანამედროვე სავანები**



უხსნის, რომ დროთა განმავლობაში გარკვეული ლანდშაფტები ქრება, ან კარგ შემთხვევაში მხოლოდ ცალკეულ ადგილებში ნარჩუნდება. დაცული ტერიტორიები სწორედ ასეთი სივრცეების შენარჩუნებისთვის იქმნება.

წინა აქტივობის ფარგლებში ნაჩვენებ რეპორტაჟზე https://www.youtube.com/watch?v=sAQRag4iwxQ და ტექსტზე „მოგზაურობა სამეგრელოში“ დაყრდონით მოსწავლეებთან ერთად განიხილავს შემდეგ საკითხებს:

- რატომ არის გამოცხადებული კოლხეთის ეროვნული პარკი დაცულ ტერიტორიად?
- თქვენი სიტყვებით გადმოეცით რას გულისხმობს გადაცემის ავტორის სიტყვები ***„კოლხეთის ეს დაბლობი .... კაინოზოური ერის ნაშთია, რომელიც დაახლოებით 10 მილიონი წლის წინ მთელ ევრაზიის კონტინენტზე უწყვეტ ზოლად იყო გადაჭიმული. კოლხეთს დღეს შემორჩა ბუნება, რომელიც ..... "***
- რა არის ხართვისის მუხა და სფაგნუმის ხავსი? რატომ უწოდებს მას გადაცემის წამყვანი კოლხეთის ეროვნული პარკის „სავიზიტო ბარათს"?
- თქვენი აზრით რატომ არის კოლხეთის ეროვნული პარკი წყლის ფრინველებისთვის უნიკალური
- ბუნებისმეტყველების კურსიდან გაიხსენეთ რას ნიშნავს ფრინველების მიგრაცია? რატომ აქვს კოლხეთის ეროვნულ პარკს განსაკუთრებული წვლილი ფრინველების მიგრაციის პროცესში?
- რა არის „წითელი წიგნი"? როგორ გესმით სიტყვები **წითელი იხვი** და **კუდსადგისა იხვი** წითელს წიგნშია შეყვანილი?
- კოლხეთის ეროვნული პარკის გარდა კიდევ რომელი დაცული ტერიტორიების შესახებ გსმენიათ?
- გსმენიათ თუ არა ისეთი ტერმინები როგორებიცაა ნაკრძალი, აღკვეთილი, ბუნების ძეგლი? <u>რა მსგავსება და განსხვავებაა მათ შორის?</u>

მსგავსებებზე სასაუბროდ შეახსენებს მათ პირველი და მეორე თემის ფარგლებში დამუშავებლ ცნებას „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი", შეახსენებს მის არსობრივ მახასიათებლებსაც (უნიკალურობა, 70 წელსზე მეტი ხნის ისტორია, ავთენტურობა). სთხოვს ერთმნაეთს დაუკავშიროს „დაცული ტერიტორიისა" და „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის" იდეა.

განსხვავებებზე სასაუბროდ მოსწავლეებს წარმოუდგენს ცხრილს, რომელიც ეროვნულ პარკს, ნაკრძალს, აღკვეთილსა და ბუნებრივ ძეგლს შორის არსებულ განსხვავებებს წარმოაჩენს. სთხოვს ცხრილში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გააანალიზონ რატომ ვუწოდებთ კოლხეთის ეროვნულ პარკს ეროვნულ პარკს და არა ნაკრძალს, ან აღკვეთილს.

სახელწოდება	**რა მიზნით იქმნება?**
ნაკრძალი	ბუნების დაცვა და შენარჩუნება აქტიური მართვის გზით
ეროვნული პარკი	ეკოსისტემის კონსერვაცია ტურიზმის განვითარება
აღკვეთილი	ბუნების დაცვა და შენარჩუნება აქტიური მართვის გზით

აქტივობა 3. ფოტო-კოლაჟი კოლხეთის ეროვნულ პარკთან დაკავშირებით

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს ინტერნეტში მოიძიონ სურათები, მასალები და შექმნან ფოტოკოლაჟი, რომელიც კოლხეთის ეროვნული პარკის მნიშვნელობას წარმოაჩენს.

აქტივობა 4. სხვადასხვა მხარის კლიმატური პირობების ერთმანეთთან შედარება

მასწავლებელი მოსწავლეებს შეახსენებს სქემას, რომლის საშუალებითაც მათ პირველ და მეორე თემაში ჭიათურა, აჭარა და მათთვის მშობლიური მხარე შეადარეს ერთმანეთს. სთხოვს იგივე ტიპის ინფორმაცია მთიანი აჭარისა და ბათუმის შესახებ მოიპოვონ და ცხრილის შესაბამის უჯრაში ჩაწერონ.

სასურველია მოსწავლეები 4-5 ჯგუფად გაიყონ და ეს აქტივობა ასე შეასრულონ, შემდეგ კი ერთმანეთის ნაშრომები „შეამოწმონ" და მსგავსება - განსხვავებებზე იმსჯელონ.

ჭიათურა	შენი მშობლიური მხარე	მთინაი აჭარა	სამეგრელო
უსწორმასწორო რელიეფი			
მუქი ფერის მდინარე			
მდებარეობს ზღვის დონიდან 350 – 500 მეტრზე			
ნოტიო ჰავა			
13 გრადუსი საშუალო ტემპერატურა			
ნალექის რაოდენობა საშუალო (1100 მმ)			
13 000 - მდე მოსახლე			
176 კილომეტრია თბილისამდე			

აქტივობა 4. გეოგრაფიული შინაარსის ცნებების კლასიფიკაცია

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს შეავსონ ქვემოთ მოცემული ცხრილი იმის მიხედვით, თუ პირველ და მეორე სვეტში მოცემული რომელი ცნებების შესახებ იყო ინფორმაცია ტექსტსა და ტელე სიუჟეტში (ცხრილი ნათარგმნი უნდა იყოს მოსწავლისთვის მშობლიურ ენაზე).

სამიზნე ცნება - **სივრცე**

ქვეცნებები		მშობლიური მხარე	იმერეთი	აჭარა	სამეგრელო
დაცული ტერიტორია	ეროვნული პარკი				
	ნაკრძალი				
	აღკვეთილი				
	ბოტანიკური ბაღი				
საკურორტო-რეკრეაციული ზონა	ბალნეოლოგიური კურორტი				
	ზღვის კლიმატური კურორტი				
	კლიმატობალნეოლოგიური კურორტი				
	მინერალური წყლები				
	სამთობალნეოლოგიური კურორტი				
	სამთო-კლიმატური კურორტი				
	ტალახით სამკურნალო კურორტი				
გეოგრაფიული მოვლენა/სტიქიური მოვლენა	წყალდიდობა				
	მეწყერი				
	მიწისძვრა				
	ზვავი				
	ღვარცოფი				
	გვალვა				
	სეტყვა				
გეოგრაფიული ობიექტი	ზღვა, ოკეანე				
	პლიაჟი				
	სრუტე				
	ყურე				
	კუნძული				
	ნახევარკუნძული				
	მდინარე				
	ხეობა				
	ტბა				
	ჭაობი				
	ჩანჩქერი				
	არხი				
	წყლსაცავი				
	მთა				
	ქედი				

	მყინვარი				
	მღვიმე				
	დაბლობი				
	ტყე				
	უდაბნო, ოაზისი				
	უღელტეხილი				
დასახლებული პუნქტი	ქალაქი				
	სოფელი				
	დაბა				
	მხარე/რეგიონი				
	ადმინისტრაციული ერთეული				

აქტივობა 5. ლაშას და გიორგის მოგზაურობა რუკაზე

აჩვენეთ რუკაზე ლაშას და გიორგი მოგზაურობის მარშრუტი სამეგრელოში გუგლ მეფის საშუალებით: https://www.google.com/maps/place/Georgia/@39.571844,41.7213206,5.48z/data=!4m5!3m4!1s0x40440cd7e64f626b:0x4f907964122d4ac2!8m2!3d42.315407!4d43.356892

იგივე რუკაზე იპოვეთ ადგილი

- სადაც ამჯერად იმყოფებით;
- თბილისი - საქართველოს დედაქალაქი;
- გაიხსენეთ ბოლოს სად იმოგზაურეთ - რუკაზე აღნიშნეთ თქვენი მოგზაურობის მარშუტი

შენიშვნა: სასურველია ყველა მოსწავლეს ჰქონდეს ბუკი ინდივიდუალური მუშაობისთვის, თუმცა, თუკი ამის საშუალება არ იქნება შესაძლოა ეს აქტივობა ერთი ლეპტოპისა და პროექტორის საშუალებითაც განხორციელდეს.

აქტივობა 6. ლაშასა და გიორგი მოგზაურობის ამსახველი რუკის შექმნა

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს სამეგრელოს რუკას.

სთხოვს იმსჯელონ იმის შესახებ, თუ რა სჭირდება ამ ილუსტრაციას იმისთვის, რათა რუკად გადაიქცეს. გამოკვეთს ცნებას **პირობითი ნიშანი** და **რუკის ლეგენდა** (როგორც პირობით ნიშნების ერთობლიობა). მოსწავლეების დახმარებით ჩამოთვლის რისი აღნიშნვა შეიძლება რუკაზე პირობითი ნიშნებით *(მაგალითად, მთა, მდინარე, ქალაქი, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, ზღვა და სხვა).* ავალებს ზემოთ მოცემული რუკის ბაზაზე შექმნან ლაშასა და გიორგი სამეგრელოში მოგზაურობის ამსახველი რუკა, რომელსაც შესაბამისი რუკის ლეგენდაც ექნება.

მასწავლებელი და მოსწავლეები დავალებას ერთობლივად ასრულებენ. საამისოდ ისინი ერთად კითხულობენ ლაშას და გიორგის სამეგრელოში მოგზაურობის ტექსტს:

- ტექსტის კითხვისას გამოკვეთენ ტიპურ გეოგრაფიულ ობიექტებს (მდინარე, მთა, ქალაქი, სოფელი, გზა) აქტიურად იყენებენ მე-4 აქტივობის ფარგლებში შევსებულ ცხრილს);
- თანხმდებიან რა ტიპის პირობითი ნიშნით აღნიშნონ თითოეული ტიპის გეოგრაფიული ობიექტი;
- კონკრეტულ გეოგრაფიულ ობიექტს. წერენ მათ დასახელებებს რუკაზე შესაბამის ადგილას;
- თითოეულ კონკრეტულ ობიექტთან დაკავშირებით ვიკიპედიაში პოულობენ და ერთმანეთს უზიარებენ ერთ საინტერესო ამბავს/ინფორმაციას.

აქტივობა 8. რუკის შექმნა ნარატიული ტექსტის საფუძველზე

მასწალებელი მოსწავლეებს სთხოვს კიდევ ერთხელ უყურონ უკვე განხილულ რეპორტაჟს https://www.youtube.com/watch?v=sAQRag4iwxQ და ზემოაღწეილი პრინციპების გათვალისწინებით შექმნა კოლხეთის ეროვნული პარკის რუკა (ანუ შექმნან რუკა, რომელსაც ექნება ლეგენდა და რომელზეც დატანილი იქნება ყველა ის გეოგრაფიული პუნქტი, რომელსაც გადაცემის წამყვანი ახსენებს. მოსწავლეებს სთხოვს ყურადღება მიაქციონ და ორიენტირად გამოიყენონ გადაცემაში ნახსენები ჰორიზონტის მხარეები.

შეჯამება:

სამიზნე ცნებაზე - „სივრცე“ მუშაობის პროცესს აჯამებს მსჯელობა შემდეგ შეკითხვებზე:

- როგორ გამოიყენებთ შეძენილ ცოდნას/დამუშავებლ მასალას კომპლექსური დავალების შესასრულებლად?
- რამდენად და რატომ განსხვავდება სამეგრელოს ბუნება და ლანდშაფტები საქართველოს სხვა მხარეებისგან? რას უნდა გაუსვათ ხაზი მეგობრებისთვის მიწერილ წერილებში?
- რა ვიცოდი, გავიგე, მინდა გავიგო კოლხეთის ეროვნული პარკის შესახებ?
- საიდან შეიძლება სამეგრელოს ბუნებრივი პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება?

სამიზნე ცნება - მეურნეობა

სამიზნე ცნება მუშავდება საკითხის - <u>მუხურის ფუტკარი, კვარაცხელიას ჯიში ძროხები</u> საშუალებით.

აქტივობა 1. გვიღირს თუ არა მეურნეობის ამა თუ იმ დარგის განვითარება?

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს გაიხსენონ აქტივობა, რომელიც მეურნეობის დარგების ჩამოყალიბებისა და განვითარების კანონზომიერებებს შეეხება. სთხოვს კიდევ ერთხელ შეავსონ/საკუთარი პორტფოლიოში იპოვონ ცხრილი პირველი და მეორე თემის ფარგლებში განხილულ შემდეგ საკითხებთან მიმართებით:

ა) მშობლიურ მხარეში ყველაზე მეტად გავრცელებულ მეურნეობის დარგი;

ბ) ჭიათურის მანგანუმთან;

გ) მემთეურობა აჭარაში.

სოფლის მეურნეობის დარგის დასახელება			
რა არის საჭირო დარგის ~ანვითარებისთვის?			
რა ტიპის შრომაა საჭირო?			
როგორი ბუნებრივი პირობები?			
უკავშირდება თუ არა მისი მოყვანა რაიმე რისკებს?			
ვის და რამდენად სჭირდება მოყვანილი პროდუქტი?			
რამდენი იყიდება?			
რა ფასად იყიდება?			
რამდენად ღირს (დანახარჯების, რისკებისა და მოსალოდნელი სარგებლის) **გათვალისწინებით მეურნეუობის ამ დარგის განვითარება?**			

ცხრილის შევსების/განახლების შემდეგ აჩვენებს ორ ვიდეო-რგოლს მუხურის ფუტკართან და კვარაცხელიების ძროხებთან დაკავშირებით:

მუხურის ფუტკარი

კვარაცხელიას ძროხები: https://www.youtube.com/watch?v=BbYfrRL9Zj0 6:10 წუთიდან - 9:05 წუთამდე

მუხურის ფუტკარი: https://www.youtube.com/watch?v=BbYfrRL9Zj0 9:06 წუთიდან - 11:09 წუთამდე

სთხოვს ორივე ზემოთ მოცემული ცხრილი კიდევ ერთხელ შეავსონ ამჯერად სამეგრელოში მესაქონლეობასთან და მეფუტკრეობასთან მიმართებით.

აქტივობა 2. მეურნეობასთან დაკავშირებული ცნებების კლასიფიკაცია

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს შეავსონ ქვემოთ მოცემული ცხრილი იმის მიხედვით, თუ პირველ და მეორე სვეტში მოცემული რომელი ცნებების შესახებ იყო ინფორმაცია ტექსტსა და ტელე სიუჟეტში (ცხრილი ნათარგმნი უნდა იყოს მოსწავლისთვის მშობლიურ ენაზე).

ქვეცნებები		მშობლიური მხარე	იმერეთი	აჭარა	სამეგრელო
სოფლის მეურნეობის დარგი	ტყის მეურნეობა				
	მეფუტკრეობა				
	მონადირეობა				
	მეთევზეობა				
	მეფრინველეობა				
	მესაქონლეობა				
	მიწათმოქმედება				
ხელოსნობისა და შინამრეწველობის დარგი	ოქრომჭედლობა				
	მჭედლობა				
	კერამიკა				
	სპილენძი				
	ხის დამუშავება *(ხის ჭურჭელი, ხის ავეჯი)*				
	ქვითხუროობა				
	მეაბრეშუმეობა				
	მებამბეობა				
	ტრადიციული მხატვრული ქსოვილები				
	მენაბდეობა				
ტურიზმი	კულტურული ტურიზმი				
	დასვენება-რელაქსაცია				
	ეკო-ტურიზმი				
	სპორტული ტურიზმი				
	აგრო-ტურიზმი				
	სათავგადასავლო ტურიზმი				
	ღვინის ტურიზმი				
მრეწველობა	მეტალურგია (შავი, ფერადი)				
	ენერგეტიკა				
	სამთო-მოპოვებითი მრეწველობა				
	მანქანათმშენებლობა				
	ქიმიური მრეწველობა				
	კვების მრეწველობა				
	მსუბუქი მრეწველობა (საფეიქრო, სამკერვალო, ტყავ-საგალანტერიო)				

აქტივობა 3. საერთო ელემენტების აღმოჩენა ტექსტსა და ვიდეო რგოლებს შორის.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს ყურადღებით წაიკითხონ ტექსტის „მოგზაურობა სამეგრელოში“ ის მონაკვეთი, რომელიც ლაშასა და გიორგის მიერ მეგრული კერძების დაგემოვნებას შეეხება. მათთან ერთადვე უყურებს ტელე-სიუჟეტს, რომელიც მეგრულ სამზარეულოს ეხება https://www.youtube.com/watch?v=DnU8JzGVRY0

მოსწავლეებს ავალებს ქვემოთ მოცემული ცხრილში ჩაინიშნონ ის მონაკვეთები, სადაც ისეთი ინფორმაციაა მოცემული, რომელიც ტელე სიუჟეტშიც გვხვდება და ტექსტშიც.

ტექსტი	**ვიდეორგოლი**
1.	
2.	
3.	

აქტოვობა 4. მეგრული სამზარეულო

სამეგრელოში გავრცელებული მეურნეობის დარგების უკეთ გასააზრებლად მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს შექმნან მენიუ იმ საჭმელებისთვის, რომელიც ტექსტში იყო ნახსენები. მენიუს საფუძველზე კი მოაწყონ წვეულება სათაურით „მეგრული სამზარეულო“, სადაც იმსჯელებენ აქაური კერძების თავისებურებებზე და მათი მომზადების პროცესთან დაკავშირებულ გამოწვევებზე.

სასურველია ეს აქტივობა მშობლებისა და მასწავლებლების ფართო ჩართულობით განხორციელდეს. ბიუჯეტი აქტივობისთვის შესაძლოა გაიღოს სკოლამ, ან ფული თავად მოსწავლეებმა შეაგროვონ.

შეჯამება:
სამიზნე ცნებაზე - „მეურნეობა“ მუშაობის პროცესს აჯამებს მსჯელობა შემდეგ შეკითხვებზე:

- რა ვიცოდი, გავიგე, მინდა გავიგო სამეგრელოში გავრცელებული მეურნეობის დარგების შესახებ?
- როგორ გამოიყენებთ შეძენილ ცოდნას/დამუშავებლ მასალას კომპლექსური დავალების შესასრულებლად?
- რა გავლენას ახდენს გეოგრაფიული პირობები სამეგრელოს მოსახლეობის ყოფაზე და რეგიონის განვითარებაზე?
- საიდან შეიძლება სამეგრელოში გავრცელებული მეურნეობის დარგების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება?

სამიზნე ცნება - საზოგადოება

სამიზნე ცნება მუშავდება საკითხის - ნიკო ნიკოლაძის მოღვაწეობა საშუალებით.

აქტივობა 1. რა აერთიანებთ ამა თუ იმ საზოგადოებრივი ჯგუფის წევრებს?

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს ჩამოთვალონ რომელი საზოგადოებრივი ჯგუფის წევრად მოიაზრებენ ისინი საკუთარ თავს. პარალელურად უსვამს დამატებით შეკითხვებს:

- კიდევ ვის მოიაზრებთ იგივე საზოგადოებრივი ჯგუფის წევრად? ვის აღნიშნავთ სიტყვით „ჩვენ“?
- რა საერთო ინტერესი და საზრუნავი გაერთიანებთ ამ ადამიანებთან?
- რა წესებზე/ღირებულებებზე ხართ სიტყვიერად, ან უსიტყვოდ შეთანხმებული ამ საზოგადოებრივი ჯგუფების წევრებთან?

სთხოვს შეავსონ / საკუთარი პორტფოლიოდან ამოიღონ შევსებული ცხრილი, რომლის საშუალებითაც იმ საზოგადოებრივ ჯგუფებს აღწერენ რომლის წევრადაც საკუთარ თავს მოიაზრებენ.

	ოჯახი	სამეგობრო / კლუბი / გუნდი	სკოლა	მშობლიური ქალაქი/სოფელი/მხარე	ქვეყანა
ყველასთვის ფასეული მოგონებები/ ისტორიები					
თარიღები/დღეები, რომლებსაც ეს ისტორიები/მოგონებები უკავშირდება					
ყველასთვის მნიშვნელოვანი ადგილები/სივრცეები					
დღესასწაულები, რომლებსაც ყველა აღნიშნავს (რომელთა შესახებაც ყველამ იცის)					
დაწერილი და დაუწერელი ქცევის წესები, რომლებსაც ყველა უწევს ანგარიშს					

მასწავლებელი მოსწავლეებს ავალებს გამოკვეთონ ადამიანები, რომლებიც ზემოჩამოთვლილი საზოგადოებრივი ჯგუფის წევრები არიან და საერთო ინტერესებზე სხვაზე მეტად / სხვაზე ეფექტურად ზრუნავენ. მაგალითად, სხვებზე უფრო მეტს ვარჯიშობენ და შესაბამისად მეტი სარგებელი მოაქვთ საფეხბურთო გუნდისთვის (საზოგადოებრივი ჯგუფი - საფეხბურთო გუნდი).

სთხოვს იმსჯელონ - რამდენად მართებულია ასეთ ადამიანებს „გმირი“, ან „ლიდერი“, ან „საზოგადო მოღვაწე“ ვუწოდოთ.

აქტივობა 2. ვინ იყო ნიკო ნიკოლაძე?

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად კითხულობს ტექსტის „მოგზაურობა სამეგრელოში“ იმ მონაკვეთს, რომელიც ნიკო ნიკოლაძის მოღვაწეობას შეეხება. სთხოვს კითხვის პროცესში ჩაინიშნონ საქმეები/ქმედებები/აქტობები, რომლითაც ნიკო ნიკოლაძემ საქართველოს (ანუ საზოგადოებრივ ჯგუფს, რომელსაც საკუთარ თავს მივაკუთვნებთ) სარგებელი მოუტანა.

ტექსტში მოსწავლეები სხვადასხვა პასაჟებს მოინიშნავენ, შემდეგ კი იმუშავებენ ერთიანი ჩამონათვალის შექმნაზე, სადაც მხოლოდ ის საქმეები იქნება წინ წამოეული, რომელიც ცალსახად „საქვეყნოდ“ შეიძლება ჩაითვალოს. ამ სიაში აუცილებლად აღმოჩნდება:

- თბილისის სათავადაზნაურო ბანკის შექმნა;
- საქართველოს რეგიონებში თვითმმართველობის შემოღება;
- პრესის განვითარების ხელშეწყობა;
- რკინიგზის გაყვანა – ჯერ ფოთიდან თბილისამდე, ასევე - ბაქოდან ბათუმამდე, თბილისის გავლით;
- ფოთის და თბილისის ქუჩების განათება;
- საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება.

აქტივობები 3,4,5 ჩამოთვლილი აქტივობების მნიშვნელობის წარმოჩენას ეძღვნება.

აქტივობა 3. თბილისის სათავადაზნაურო ბანკის შექმნა

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს გაიხსენონ გამოუტანია თუ არა ბანკიდან სესხი მის ოჯახს / მის ახლობელ ადამიანს. გამოკვეთს არსებით მახასიათებლებს, რომლებიც საბანკო სესხს უკავშირდება:

- ერთობლივად დიდი თანხის ხელმისაწვდომობა;
- ხელშეკრულება ბანკთან სესხის თანდათანობით გასტუმრებასთან დაკავშირებით;
- რაიმეს ჩადება ბანკში სესხის დაბრუნების გარანტად;
- ბანკისთვის აღებულზე უფრო მეტი თანხის დაბრუნება (პროცენტი).

მოსწავლეებთან ერთად მსჯელობს რა მიზეზით შეიძლება ადამიანმა სესხის გამოტანაზე იფიქროს და რა სარგებელი შეიძლება მიიღოს ადამიანმა/ოჯახმა სესხის საშუალებით. მოსწავლეებთან ერთად ავსებს ქვემოთ მოცემულ ცხრილს კონკრეტულ ცხოვრებისეულ მაგალითებზე დაყრდნობით.

სესხის გამოტანის მიზეზი	სესხით მიღებული სარგებელი
1.	
2.	

აქტივობის შემდეგ ფაზაში მასწავლებელი მოსწავლეებს ეუბნება, რომ XIX საუკუნემდე საქართველოში ბანკი არ არსებობდა. მოსწავლეებს უყვება თბილისის საადგილმამულო ბანკის დაარსების ისტორიას (მოცემულ რესურსზე დაფუძნებით https://egi.ge/ka/4-%E1%83%97%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%90%E1%83%93%E1%83%92%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%9D/)

ხაზს უსმევს, თუ როგორ შეუწყო ხელი ბანკმა - **ა) ბიზნეზისის განვითარებას; ბ) საქვეყნო მნიშვნელობის პროექტების განხორციელებას.** ნიკო ნიკოლაძეს, ილია ჭავჭავაძე და სხვა მათი თანამებრძოლებს განიხილავს მეწარმეებად, რომლებმაც ინოვაციური ბიზნეს იდეა განავითარეს და ამით საკუთარ თავსაც და ქვეყანასაც მოუტანეს სარგებელი.

თხრობისას იყენებს მვემოთ მოცემულ ცხრილს.

ინოვაციური იდეა	**სარგებელი საკუთარი თავისთვის**	**სარგებელი საზოგადოებისთვის**
ბანკის დაარსება, რომელიც დაინტერესული პირებს საჭირო თანხებს მიაწვდიდა	გაცემული თანხები ბანკს უბრუნდებოდა პროცენტებით	მიღებული სესხის წყალობით ბევრმა ადამიანმა მცირე ბიზნესი დაიწყო, ბევრმა კი საკუთარი მეურნეობა გაჩანაგებას გადაარჩინა.

პედაგოგი აღნიშნავს იმასაც, რომ ნიკო ნიკოლაძე, ილია ჭავჭავაძე და მათი სხვა თანამბერძოლები პირად მოგებასაც ქვეყნის საკეთილდღეოდ იყენებდნენ, კერძოდ:

- ბანკმა 15000 მანეთი გაიღო კახეთში რკინიგზის მშენებლობისთვის;
- 1879-1909 წლებში თბილისის ქართული გიმნაზიის საჭიროებისთვის გაიცა 1304883 მანეთი;
- ფინანსდებოდა ილია წინამძღვრიშვილის მიერ დაარსებულ სამეურნეო სკოლას;
- განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ქალთა განათლების საკითხს და აძლევდა ფულად რესურსებს გორის, თბილისისა და თელავის ქალთა სასწავლებლებს;
- „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაც“ სახსრებს სწორედ ბანკისგან იღებდა;
- საადგილმამულო ბანკისავე დახმარებით აღდგა ქართული თეატრი;
- ბანკმა გაიღო სახსრები ქოლერის წინააღმდეგ ბრძოლისთვის, ასევე შიმშილიანობის დროს ხალხის დასახმარებლად.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს მოსაზრება გამოთქვან თითოეული ამ აქტივობის მნიშვნელობის შესაფასებლად. გარდა ამისა, სთხოვს გაიხსენონ თავის გარშემო ადამიანები, რომლებმაც ბიზნეს იდეა განავითარეს და ამით საკუთარ თავს და საზოგადოებას სარგებელი მოუტანეს. შეადაროს მათი საქმიანობა ნიკო ნიკოლაძისა და ილია ჭავჭავაძის საქმიანობას.

აქტივობა 4. საქართველოს რეგიონებში თვითმმართველობის შემოღება

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს გაიხსენონ ორი შემთხვევა:

ა) როცა თანატოლებთან ერთად რაიმე ღონისძიებას გეგმავდნენ და ზედმეტად მკაცრი და დეტალური ინსტრუქციები ჰქონდათ მიღებული უფროსებისგან *(რა ჩაიცვან, რომელ საათზე დაიწყონ, ვინ დაპატიჟონ, ყურადღება რას მიაქციონ და სხვა);*

ბ) როცა თანატოლებთან ერთად რაიმეს გეგმავდნენ და უფროსებისგან მხოლოდ იდეური და ფინანსური მხარდაჭერა ჰქონდათ *(ანუ როცა უფროსები ამართლებდნენ ღონისძიების მოწყობის იდეას, თუმცა ზედმეტად არ ერეოდნენ საორგანიზაციო საქმეებში).*

საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელს მოჰყავს მსგავსი მაგალითები საკუთარი ცხოვრებიდან.

მოსწავლეები მსჯელობენ რომელ შემთხვევაში წარიმართა ღონისძიება უფრო ხალისიანად, სტუმართათვის უფრო სახალისოდ და დასამახსოვრებლად.

დისკუსიის ფონზე მასწავლებელი გამოკვეთს **თვითმმართველობის** იდეას. კერძოდ, ხაზს უსვამს, რომ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ყოველთვის უკეთ იციან, თუ <u>რა არის საჭირო დასახლებული პუნქტის შემდგომი განვითარებისთვის</u>. ამის შემდეგ მოსწავლეებთან ერთად კიდევ ერთხელ კითხულობს ტექსტის იმ მონაკვეთს, რომელიც ნიკო ნიკოლაძის ქალაქ ფოთის მერად/ქალაქის თვითმმართველობაში მუშაობის პერიოდს შეეხება.

ყურადღებას ამახვილებს საკვანძო საკითხებზე. თითოეულთან დაკავშირებით მოსწავლეებს აწვდის დამატებით ინფორმაციას.

ა) პრესის განვითარების ხელშეწყობა

აქტივობა: რა სახელს საერთო სახელს დაარქმევდით ქვემოთ მოცემულ ილუსტრაციებს?

თქვენი აზრით რისი თქმა უნდოდა კოლაჟის ავტორს?

- ხელნაწერი - ნაბეჭდი წიგნი - პრესა - სოციალური ქსელი

ბ) რკინისგზის გაყვანა

აქტივობა: რა სახელს საერთო სახელს დაარქმევდით ქვემოთ მოცემულ ილუსტრაციებს?

თქვენი აზრით რისი თქმა უნდოდა კოლაჟის ავტორს?

გ) ფოთის და თბილისის ქუჩების განათება

აქტივობა: რა სახელს საერთო სახელს დაარქმევდით ქვემოთ მოცემულ ილუსტრაციებს?

თქვენი აზრით რისი თქმა უნდოდა კოლაჟის ავტორს?

დ) საზოგადოებრივი ტრანსპორტის (რელსებზე მოსიარულე კონკების) განვითარება.

აქტივობა: რა სახელს საერთო სახელს დაარქმევდით ქვემოთ მოცემულ ილუსტრაციებს?

თქვენი აზრით რისი თქმა უნდოდა კოლაჟის ავტორს?

კონკა ტრამვაი მეტრო

მოსწავლეებს სთხოვს იმსჯელონ რამდენად მართებულად ეჩვენებათ ქვემოთ მოცემულ ცხრილში გაკეთებული შედარებები:

ნიკო ნიკოლაძის თაოსნობით განხოციელებული აქტივობა	პარალალი თანამედროვეობასთან მნიშვნელობის მიხედვით
1. პრესის განვითარების ხელშეწყობა	ინტერნეტის შემოყვანა
2. რკინისგზის გაყვანა	ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანის ამოქმედება
3. ქუჩების განათება	საახალწლო ფეიერვერკების მოწყობა
4. საზოგადოებრივი ტრანსპორტის (რელსებზე მოსიარულე კონკების) განვითარება	მეტროპოლიტების მშენებლობა

აქტივობა 5. ნიკო ნიკოლაძის მოღვაწეობის შეფასება

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს შეაფასონ ნიკო ნიკოლაძის მოღვაწეობა. გაიხსენონ ისტორიულად ცნობილი, ან თანამედროვე ადამიანება, რომლებიც შეიძლება შესაძლოა მას შევადაროთ.

აქტივობა 6. სამიზნე ცნება „საზოგადოებასთან“ დაკავშირებული

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს უყურონ ვიდეორგოლს სამიზნე ცნებაზე „საზოგადოება“ მუშაობის პროცესში განხორიცელებული აქტივობების გათვალისწინებთი შეავსონ ქვემოთ მოცემული ცხრილი.

ქვეცნებები		თემა - სამეგრელო
საზოგადო მოღვაწე	ისტორიულად ცნობილი საზოგადო მოღვაწე	
	გმირები ჩვენს გარშემო	
ტრადიცია	დღესასწაული	
	ადათ-წესები	
	ქართული დიასპორები	
ღირებულებები	კულტურული მემკვიდრეობა (მატერიალური, სულიერი)	
	კულტურული მრავალფეროვნება (ენობრივი, რელიგიური, ეთნიკური)	
	ემპათია, ზრუნვა მოწყვლად ჯგუფებზე	

შეჯამება:

სამიზნე ცნებაზე - „საზოგადოება“ მუშაობის პროცესს აჯამებს მსჯელობა შემდეგ შეკითხვებზე:

- როგორ გამოიყენებთ შეძენილ ცოდნას/დამუშავებლ მასალას კომპლექსური დავალების შესასრულებლად?
- რა ვიცოდი, გავიგე, მინდა გავიგო ნიკო ნიკოლაძის მოღვაწეობის შესახებ?

სამიზნე ცნება - მრავალფეროვნება

სამიზნე ცნება მუშავდება საკითხის - დადიანების სასახლე, მეგრული სამზარეულო საშუალებით.

აქტივობა 1. რა არის მუზეუმი

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს შექმნან კუთხე, სადაც მთელი კლასისთვის ძვირფას დასამახსოვრებელ ნივთებს განათავსებენ. მასწავლებელი სვამს შეკითხვას:

- რატომ არის ეს ნივთი მთელი კლასისთვის მნიშვნელოვანი (ხომ არ წარმოადგენს ის რაიმეს სიმბოლოს; ხომ არ უკავშირდება მას რაიმე საინტერესო მოგონება);

შემდეგ კი მოსწავლეებთან ერთად თანხმდება სიტყვა „მუზეუმის“ მნიშვნელობაზე - „მუზეუმი არის დაწესებულება, რომელიც ინახავს/სადაც წარმოდგენილია ამა თუ იმ სფეროსთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ექსპონატები“.

აქტივობის მეორე ფაზაში მასწავლებელი მოსწავლეებს ათვალიერებინებს სხვადასხვა მუზეუმების ლინკებს და სთხოვს მათ შორის საერთო ელემენტების ამოცნობას:

ა) https://www.youtube.com/watch?v=ghZf02Z_pRY (ვანის არქეოლოგიური მუზეუმი)

ბ) https://www.youtube.com/watch?v=ZIt0PSbeZ7I (ხელოვნების მუზეუმი)

გ) https://www.youtube.com/watch?v=-hCl59EiQGc (ეთნოგრაფიული მუზეუმი)

აქტივობა 2. დადიანების სასახელე

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად კითხულობს ტექსტის იმ მონაკვეთს, რომელიც დადიანების სასახლეს შეეხება. პარალელურად მათთან ერთად უყურებს ვიდეო-რგოლს იგივე საკითხთან დაკავშირებით https://www.youtube.com/watch?v=yuIJ-KTteK8 მოსწავლეები ინიშნავენ ფაქტებს, რომლებიც ვიდეორგოლშიც შეხვდათ და ტექსტშიც.

მასწავლებელი მოსწავლეებს შეახსენებს, რომ დღეს დადიანების სასახლე მუზეუმია, საქართველოს ისტორიისთვის მნიშვნელოვან ერთ-ერთი პერიოდის XIX საუკუნის შესახებ „ინახავს“ ხსოვნას. ჰყოფს მათ ჯგუფებად. თითუეული ჯგუფი ქმნის 3 ექსპონატისგან დაკომპლექტებულ სიას, რომელიც მათი აზრით საუკეთესოდ წარმოაჩენს შესაბამისი პერიოდის საქართველოს, ან დადიანების სასახლის უნიკალობას.

აქტივობა 3. აჭარის თავისებურებები

მასწავლებელი მოსწავლეებს ჰყოფს ჯგუფებად და ავალებს შექმნან პლაკატი სამეგრელოს თავისებურებების წარმოსაჩენად. მოსწავლეები განვლილ მასალაზე დაფუძნებით ქმნიან საკუთარ კომპოზიციას.

აქტივობა 4. მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული ცნებების კლასიფიკაცია

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს ცხრილში შესაბამის ადგილას ჩაწერონ ცნებები, რომლის შესახებაც თემაზე „სამეგრელო“ მუშაობის პროცესში გაიგეს.

ქვეცნებები		მშობლიური მხარე	იმერეთი	აჭარა
მატერიალური კულტურა:	დასახლება და დასახლების სტრუქტურა			
	საზოგადოებრივ-საკულტო ნაგებობები			
	გზები და ხიდები			
	ხალხური სატრანსპორტო საშუალებები			
	ზღვაოსნობა			
	ტრადიციული სამოსი			
	ქართული საჭურველი			
	კვების ხალხური სისტემა			
ოჯახი და საოჯახო ყოფა:	ნათესაობის სისტემა;			
	საქორწინო წეს-ჩვეულებები;			
	ბავშვის აღზრდის ხალხური ტრადიციები;			
	დაკრძალვა, გლოვის წესები და მემორიალური კულტურა.			
საზოგადოებრივი ყოფა	ტერიტორიული თემი;			
	შრომითი ურთიერთდახმარების ფორმები *(მაგალითად, ნადი, მოდგამი);*			
	ტრადიციული ქართული სუფრა;			
	ვაჭრობა და საბაზრო ურითერთობა საქართველოში;			
	ხალხური სამართალი			
წერილობითი კულტურა	ქართული ენა და დამწერლობა			
	ქართული ხელნაწერები			
	ეპიგრაფიკული ძეგლები			
	ქართული საგანმანათლებლო და საღვთისმეტყველო-ლიტერატურული ცენტრები			
პროფესიული კულტურა	ქართული ლიტერატურა;			
	სახვითი ხელოვნება;			
	ქართული თეატრი;			
	ქართული კინო.			
სულიერი კულტურა	მითი და რიტუალი;			
	ქართული ხალხური დღესასწაულები;			
	ქართული ფოლკლორი;			
	ქართული ხალხური მუსიკა			
	ქართული ქორეოგრაფია			
	ტრადიციული ქართული სამედიცინო კულტურა;			
	ხალხური ჰიგიენური კულტურა;			
	საბავშვო გასართობი და სპორტული თამაშობანი			

შეჯამება:
სამიზნე ცნებაზე - „მრავალფეროვნება“ მუშაობის პროცესს აჯამებს მსჯელობა შემდეგ შეკითხვებზე:

- როგორ გამოიყენებთ შეძენილ ცოდნას/დამუშავებლ მასალას კომპლექსური დავალების შესასრულებლად?
- რამდენად, რით და რატომ განსხვავდება სამეგრელოს ყოფითი ტრადიციები საქართველოს სხვა მხარეებისგან?
- რა ვიცოდი, გავიგე, მინდა გავიგო სამეგრელოს შესახებ?

სამიზნე ცნება - **დრო**

მუშავდება საკითხების - **არგონავტების მითი, ნოქალაქევი, დადიანების სასახლე** საშუალებით.

აქტივობა 1. ნოქალაქევი

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად კითხულობს ტექსტის „მოგზაურობა სამეგრელოში“ ის მონაკვეთი, რომელიც ნოქალაქევს შეეხება. მოსწავლეებს ჰყოფს ჯგუფებად. ჯგუფებს დავალებად ეძლევათ ტექსტის საფუძველზე შეავსონ ქვემოთ მოცემული ცხრილი. გამოკვეთონ და პირველ სვეტში ჩაწერონ ბათუმის ბულვარის ისტორიასთან დაკავშირებული ძირითადი ისტორიული მოვლენების დასახელება დანარჩენ სვეტებში კი ამ მოვლენების მახასიათებლები.

ისტორიული მოვლენა	**ვინ მონაწილეობდა ?** პიროვნებები	**რა კონკრეტული ფაქტები უკავშირდება ისტორიულ მოვლენას** ფაქტები	**როდის მოხდა ეს ისტორიული მოვლენა** პერიოდი თარიღები	**რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ ისტორიულ მოვლენას ბათუმის ბულვარის ისტორიისთვის?** შედეგი მნიშვნელობა
1				
2				
3				
4				
5				

აქტივობა 2. დროის ხაზი

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს და მათთან ერთად განიხილავს რესურსს:

- ტექსტის „მოგზაურობა სამეგრელოში“ (არგონავტების ლაშრობის შესახებ ეპიზოდი);
- ტექსტის „მოგზაურობა სამეგრელოში“ (დადიანების სასახლესთან დაკავშირებით);
- ნოქალაქევთან დაკავშირებით დაკავშირებით https://www.youtube.com/watch?v=dU_VJRwuJyM

გონიოს ციხესთან დაკავშირებით მოსწავლეებს ასევე სთავაზობს მინი-ლექციას შემდეგ რესურსზე დაფუძნებით: https://georgiantravelguide.com/ka/samegrelo

ვიდეო-რგოლების განხილვის პროცესში მოსწავლეებს ამოცანად აქვთ ჩაინიშნონ მოვლენები, რომლებიც განხილვის პროცესში განსაკუთრებით დაამახსოვრათ. აქტივობის მეორე ფაზაში მათ ეს მოვლენები დროის ხაზზე უნდა განალაგონ (ჯერ ინდივიდუალური, შემდეგ კი ჯგუფური მუშაობის პროცესში).

დროის ხაზი

აქტივობა 7. ისტორიული შინაარსის ცნებების კლასიფიკაცია

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს ცხრილში შესაბამის ადგილას ჩაწერონ ცნებები, რომლის შესახებაც თემაზე „აჭარა“ მუშაობის პროცესში გაიგეს.

ქვეცნებები		მშობლიური მხარე	იმერეთი	აჭარა
ისტორიული ეპიზოდი	ბრძოლა			
	მეფის/ცნობილი პიროვნების მოღვაწეობა			
	რეფორმა			
	აჯანყება			
	აღმშენებლობა			
ზეპირი ტრადიცია	მითი			
	თქმულება			
	ლეგენდა			
ისტორიული პერიოდი (პერიოდიზაცია)	მეფეების მმართველობის პერიოდის მიხედვით			
	ძველად არსებული სახელმწიფოების მიხედვით			
	მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების მიხედვით			

შეჯამება:
სამიზნე ცნებაზე - „დრო“ მუშაობის პროცესს აჯამებს მსჯელობა შემდეგ შეკითხვებზე:

- როგორ გამოიყენებთ შეძენილ ცოდნას/დამუშავებლ მასალას კომპლექსური დავალების შესასრულებლად?
- რომელ კომპოზიციაში შეიძლება აისახოს აჭარის ისტორია?
- რა ვიცოდი, გავიგე, მინდა გავიგო სამეგრელოს ისტორიის შესახებ?

სამიზნე ცნება - სახელმწიფო

მუშავდება საკითხის - ენგურის წყალსაცავი, კანონის წინაშე თანასწორობა (ბატონ-ყმობის მაგალითზე), სეკულარიზმი (ჭყონდიდელის თანამდებობის) საშუალებით

აქტივობა 1. რა არის სახელმწიფო

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს პირველ და მეორე თემებზე დაყრნობით იმსჯელონ სახელმწიფოს რაობაზე. უკვე განხილული მასალის საფუძველზე პასუხი გასცენ შემდეგ შეკითხვებს:

- რა არის ინსტიტუცია?
- რა არის ადგილობრივი თვითმმართველობა (ფოთის მაგალითზე)?
- რა არის კანონი?
- ვის შეუძლია კანონის მიღება (საქართველოს პარლამენტი, აჭარის უზენაესი საბჭო), რატომ იღებენ ახალ კანონებს?
- რატომ არის საჭირო სახელმწიფოს არსებობა?

აქტივობა 2. რატომ და როგორ აშენდა ენგურის წყალსაცავი?

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს იმჯელონ:

- საიდან მოდის და რისთვის არის მნიშვნელოვანი ელექტროენერგია?
- რა შეიცვლებოდა ჩვენს ცხოვრებაში ელექტროენერგიის გარეშე?

მასწავლებელი ეკითხება მოსწალვეებს - რას ნიშნავს სიტყვა „ჰიდროელექტროსადგური“? სთხოვს ყურადღება გაამახვილონ სიტყვის თითოეულ კომპონენტზე - **„ჰიდრო“ (წყალი), „ელექტრო“, „სადგური“.** მიანიშნებს მოსწავლეებს, რომ აქ „სიტყვა თვითონ ამბობს“, რომ ჰიდროელეტროსადგური არის სადგური, რომელიც წყლისგან ელექტორენერგიას გამოიმუშავებს.

მოსწავლეებს აყურებინებს ვიდეო-რგოლს https://www.youtube.com/watch?v=q8HmRLCgDAI მასწავლებელი თავადაც აქტიურად მონაწილეობს ვიდეო-რგოლის შინაარსის ინტერპრეტირებაში, შემდეგ კი მოსწავლეებთან ერთად განიხილავს შემდეგ საკითხებს:

- რა არის ტურბინა?
- რა არის გენერატორი?
- რა არის კაშხალი?
- რომელი კაშხალი მიიჩნევა მსოფლიოში ყველაზე მასშტაბურად?
- რა რისკები ახლავს ჰიდროელექტრო სადგულების მშენებლობას?

აქტივობა 3. ენგურის წყალსაცავი?

მოსწავლეები მასწავლებელთან ერთად კითხულობენ ტექსტის იმ მონაკვეთს, რომელიც ენგურის წყალსაცავს შეეხება. უყურებენ ვიდეო-რგოლს იგივე საკითხთან დაკავშირებით https://www.youtube.com/watch?v=_1_M38BTxrI (5.38 წუთამდე)

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს ფურცელზე ჩაინიშნონ ინფორმაცია, რომელიც ტექსტშიც და ვიდეორგოლშიც იყო მოხსენიებული.

აქტივობა 4. რა თანხები და ძალისხმევა დასჭირდა ენგურჰესის მშენებლობას?

მასწავლებელი მოსწავლეებს უყვება ენგურჰესის მშენებლობის ისტორიას (ვიდეო-რგოლში მოცემულ ზეპირ ისტორიაზე დაფუძნებით https://www.youtube.com/watch?v=eX5U7mYDq8U). განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს შემდეგ საკითხებზე:

- მშენებლობა დღევანდელი კურსით 25 მილიარდი დოლარი დაჯდა;
- მშენებლობა დაახლოებით 20 წლის განმავლობაში მიმდინარეობა;
- მშენებლობაში მონაწილეობდნენ კვალიფიცირებული ადამიანები, რომლების მომზადებაც მრავალ გამოწვევასთანაა დაკავშირებული.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს იმსჯელონ რამდენად შესძლებდა საზოგადოება, საკუთარი ძალებით, ასეთი თანხების მობილიზებას, კადრების მომზადებას და ხანგრძლივი პროექტის დაგეგმვას სახელმწიფოს გარეშე. მსჯელობისას მასწავლებელი გამოკვეთს შემდეგ შეკითხვებს:

- საიდან აქვს სახელმწიფოს თანხები? (გადასახები)
- სად და როგორ ხდება კვალიფიციური კადრების მომზადება? (უნივერსიტეტები)
- როგორ, რისი გათვალისწინებით იგეგმება მასშტაბური პროექტები? (სახელმწიფო პოლიტიკა)

აქტივობის მეორე ფაზაში მასწავლებელი აღნიშნავს, რომ ჰიდროელექტრო სადგურის მშენებლობა საკუთარ თავზე კერძო კომპანიამაც შეიძლება აიღოს. საილუსტრაციოდ მოჰყავს რეპორტაჟი, სადაც ახალქალაქი 1,2 -ის მშენებლობის ამოქმედების შესახებ არის საუბარი https://www.youtube.com/watch?v=rXb9ZyJmeo8

აქტივობა 5. პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება თანამედროვე სახელმწიფო

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად კიდევ ერთხელ კითხულობს ტექსტის იმ მონაკვეთს, რომელიც დადიანების სასახლესა და ბოტანიკურ ბაღს შეეხება. შეახსენებეს ასევე სამიზნე ცნების „დრო“ დამუშავებისას განხორციელებულ აქტივობებს (მაგალითად, დროის ხაზს). შემდეგ კი (მოცემულ რესურსზე დაფუძნებით https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1_%E1%83%92%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%AE%E1%83%97%E1%83%90_%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A7%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90_(1856-1857) უყვება 1856-1857 წლებში უტუ მიქავას ხელმძღვანელობით სამეგრელოში გლეხთა აჯანყების ისტორიას. თხრობისას პედაგოგი ყურადღებას ამახვილებს შემდეგ გარემოებებზე:

- აჯანყების დაწყების საბაბი გახდა გლეხების მხრიდან დადიანების სასახლის მშენებლობაზე/აღდგენაზე უარის თქმა;
- აჯანყების მიზეზი იყო გლეხების უკმაყოფილება იმის გამო - *ა) გლეხების იძულება ემუშავათ ბატონების სასარგებლოდ; ბ) მათი ქონების მითვისება;*
- რა სიტყვებს ამბობს აჯანყების მეთაური უტუ მიქავა - *„ჩვენ სამშობლო შეგვჯავრდა... ოხრადაც კი დარჩეს ისეთი სამშობლო, როცა თავიც კი ვერ შეგიფარებია სადმე, როცა შენზე ნადირობენ, ნადირივით დაგდევენ... ჩვენ არც ავაზაკები ვართ და არც მეამბოხენი; სამართალს ვითხოვთ, მეტს არაფერს. გვიწყალობე, გენერალო, ეს სამართალი, გვიყავ სიკეთე...“*
- რის აკრძალვას სთხოვს უტუ მიქავა გენერალ კოლუბიაკინს - ა) აკრძალული გადასახადების თვითნებური გადიდება; ბ) დაწესებულიყო კანონზე დამყარებული მმართველობა; გ) მოსპობილიყო ტანჯვა-წამების მეთოდები.

გლეხთა აჯანყების ისტორიის გაცნობის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს XIX საუკუნის კანონები შეადაროს დღეს არსებულ კანონმდებლობას ქვემოთ მოცემული ცხრილის გამოყენებით:

XIX საუკუნეში, დღევანდელისგან განსხვავებით:
1.
2.
3.
4.
5.

განხილვის შედეგად მასწავლებელი გამოკვეთს ტერმინს - **„კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობა“,** როგორც თანამდეროვე სახელმწიფოების მთავარ მახასიათებელს. სთხოვს ამ ტერმინის ინტერპრეტირებას და მის საფუძველზე XIX და XXI საუკუნის სახელმწიფოების ერთმანეთთან შეფასებას.

აქტივობა 6 სეკულარიზმი

მასწავლებელი მოსწავლეებს შეახსენებს ტექსტის იმ ნაწილს, რომელიც გიორგი ჭყონდიდელსა და ჭყონდიდის ეპარქიას შეეხება. შემდეგ კი (მოცემულ რესურსზე დაყრდნობით https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%9B%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%92%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%AE%E1%83%A3%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%A1-%E1%83%AD%E1%83%A7%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%98%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98) მოსწავლეებს უყვება დავით აღმაშენებლის მიერ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის დაწესების ისტორია. თხრობისას ყურადღებას ამახვილებს შემდეგ საკითხებზე:

- მწიგნობართუხუცესის თანამდებობა საეროა, თუ სასულიერო?
- ჭყონდიდის ეპისკოპოსობა საერო თანამდებობაა, თუ სასულიერო?
- რატომ გააერთიანა დავით აღმაშენებლმა რუის-ურბისის კრების შემდეგ ჭყონდიდელის (სასულიერო) და მწიგნობართუხუცესის (საერო) თანამდებობა? გაძლიერდა თუ არა ამით მეფის ხელისუფლება?

აქტივობის შემდეგ ფაზაში მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის, რომ თანამედროვე ეტაპზე ვერაფრით იარსებებს მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის მსგავსი თანამდებობა, ვინაიდან დღეს - სახელმწიფო აღარ ერევა ეკლესიის საქმეებში, ეკლესია კი - სახელმწიფოს საქმეებში. აღნიშნავს, რომ ტერმინი „სეკულარიზმი“ სწორედ ამ პრინციპს აღნიშნავს.

აქტივობა 7. რა ფუნქციები აქვს სახელმწიფოს

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს ქვემოთ მოცემული ცხრილის შევსებას იმ აქტივობების გათვალისწინებით, რომლებიც სამიზნე ცნებაზე - „სახელმწიფო“ მუშაობისას განხორციელდა.

ქცევები		მოსწავლის პასუხი
სახელმწიფოს ფუნქციონიერება	სახელმწიფო მოწყობა	
	პრინციპები, რომლებსაც თანამედროვე სახელმწიფო ეფუძნება	
	ინსტიტუტები და სახელმწიფოს ვალდებულებები	
ადამიანის ფუნდამენტური უფლებები	შშმ პირები	
	განათლების უფლებები	
	კოლექტიური უფლებები (მაგალითად, გარემოს დაცვა, უკანონო მშენებლობლობები)	
სოციალური პრობლემები	უკანონო მშენებლობები /დასახლებული პუნქტის არქიტექტურული იერსახის დამახინჯება	
	მიგრაცია *(შიდა და გარე- მაგალითად, ეკომიგრანტები და შრომითი მიგრანტები)*	
	მთის კანონი;	
	შიდა საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმართავობა	
	წყალმომარაგების პრობლემა	
	ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვა.	
	სახელმწიფო ენის ხელმისაწვდომობა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მხარეებში	

შეჯამება:

სამიზნე ცნებაზე - „სახელმწიფო“ მუშაობის პროცესს აჯამებს მსჯელობა შემდეგ შეკითხვებზე:

- როგორ გამოიყენებთ შეძენილ ცოდნას/დამუშავებლ მასალას კომპლექსური დავალების შესასრულებლად?
- როგორ ზრუნავს სახელმწიფო რეგიონის განვითარებაზე/რეგიონში არსებული პრობლემების გადაჭრაზე?
- რა ვიცოდი, გავიგე, მინდა გავიგო სახელმწიფოს შესახებ?

ენობრივი ნაწილი

სამეგრელო (საშუალო დონე)

- **I. ტექსტი** - მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს დასაწყისიდან ვიდრე ციხეგოჯამდე (გვ. 1-6)
- **ენობრივი კომპონენტი: ტექსტის გაგება-გააზრება, ენობრივი კომპეტენციის განვითარება**

1. ვისთან ერთად გაემგზავრნენ ბიჭები სამეგრელოში?

2. აწარმოე ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში. ფოთი - ფოთელი

ქუთაისი-

ჯვარი -

ბოლნისი -

ახალქალაქი -

თბილისი -

ამსტერდამი -

2. შეადგინე დასურათებული ლექსიკონი სიტყვებისთვის: წყალსაცავი, კაშხალი, პორტი.

მოიფიქრე:

- განმარტება:
- ნახატი;
- წინადადება, რომელშიც გამოიყენებ ამ სიტყვას.

3. გაეცანი ქვემოთ მოცემულ სამ შეკითხვასა და სიტყვებს, შემდეგ შეარჩიე საჭირო კითხვა და ჩაწერე იგი შესაბამის სიტყვასთან. გაითვალისწინე, რომ ერთი შეკითხვა შეიძლება გამოიყენო ორ სიტყვასთან.

შეკითხვები: სადამდე? საიდან? სად? საითკენ?

ამსტერდამიდან - _____

ფოთამდე - _____

სამეგრელოში - _____

ბათუმიდან - _____

სასახლისკენ - _____

კოლხეთში - _____

4. რა არის მდინარე რიონის ძველი სახელწოდება?

5. შემოხაზე, სწორია თუ არასწორი.

- *არგონავტები კოლხეთში ოქროს საწმისის წასაღებად ჩამოვიდნენ, მათი მეთაური იყო იასონი.*

  ა) სწორია ბ) არასწორია

- *არგონავტები მეფე აიეტის სასახლეში გემით მივიდნენ.*

  ა) სწორია ბ) არასწორია

- *იასონს მეფე აიეტის დავალების შესრულებაში დაეხმარა მედეა - მეფე აიეტის ქალიშვილი.*

  ა) სწორია ბ) არასწორია

- *მეფე აიეტს ძალიან გაუხარდა იასონის გამარჯვება.*

  ა) სწორია ბ) არასწორია

- ოქროს საწმისი იყო ოქროსმატყლიანი ცხვრის ტყავი.

  ა) სწორია ბ) არასწორია

6. შეარჩიე საჭირო სიტყვა და ჩაწერე შესაბამის წინადადებაში.

იმიტომ, რომ განსაკუთრებით შემდეგ მუდამ

- კოლხეთის პარკში _____ საინტერესოა პალიასტომის ტბა, ჭაობები და ტყე.
- გივი ბიძიამ გაცნობისა და მოკითხვის _____ ბიჭები ფოთის პორტში დაპატიჟა.
- ბერძენ გმირებს არგონავტები დაარქვეს _____ მათი გემის სახელი იყო „არგო“.

- ოქროს საწმისის პატრონი _____ ძლიერი და ბედნიერი იყო.

7. დაასრულე წინადადება:

კოლხეთის ეროვნულ პარკში არის სამი გეოგრაფიული ობიექტი: კოლხეთის ჭაობი, ...

8. შემოხაზე არასწორი ვარიანტი.

ნიკო ნიკოლაძემ:

ა) ააშენა პირველი ქართული აეროპორტი;

ბ) საქართველოში გაიყვანა რკინიგზა;

გ) შექმნა პირველი ქართული ბანკი;

დ) ააშენა ფოთის საკათედრო ტაძარი.

9. დააკვირდი N 10 სურათს და მიუთითე, სად დგას საპორტო ამწეები.

10. ხაზებით დააკავშირე შესაბამისი სიტყვები.

სადილი	საღამოს კვება
ვახშამი	დილის კვება
საუზმე	დღის კვება

11. შეავსე ცხრილის მეორე სვეტი - ჩაწერე პირველ სვეტში მოცემული სიტყვები მშობლიურ ენაზე.

სიტყვა ქართულ ენაზე	სიტყვა მშობლიურ ენაზე

ჭაობი	
ტბა	
არხი	
მითი	

12. დააკვირდი ქვემოთ მოცემულ ნიმუშს, შემდეგ წაიკითხე ქვემოთ მოცემული წინადადებები და რგოლებში ჩაწერე, რა რის მერე მოხდა - მიუთითე შესაბამისი ციფრი.

ნიმუში. 1. ლაშამ და გიორგიმ მოისმინეს მითი არგონავტებზე.

- ბიჭებმა დაათვალიერეს ქალაქ ფოთის ცენტრი.
- სტუმრებმა და მასპინძლებმა გივი ბიძიას ოჯახში ივახშმეს.
- ლაშამ და გიორგიმ ნახეს პალიასტომის ტბა.
- ბიჭებმა დაათვალიერეს ფოთის პორტი და ქალაქის ცენტრი.

II. ტექსტი - მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს ციხეგოჯიდან ვიდრე დადიანების სასახლემდე (გვ. 6-10)

ენობრივი კომპონენტი: ტექსტის გაგება-გააზრება, ენობრივი კომპეტენციის განვითარება

1. რა ნაწილებისგან შედგება ძველი ნოქალაქევი?

2. თქვი, როგორ იტყვი შენს ენაზე : *„ეს ცხარე კერძი ბიჭებმა ფრთხილად გასინჯეს“.*

3. რას უკავშირდება სახელწოდება „ჭყონდიდი“?

4. რვეულში გადაიწერე სიტყვები: კოშკი, გვირაბი, სასახლე

და შეადგინე ლექსიკონი თითოეული მათგანისთვის. ამისთვის

დაასურათე თითოეული სიტყვა და დაწერე:

- სიტყვის *განმარტება;*
- *სიტყვა წინადადებაში.*

5. რა მანძილია მარტვილსა და ჭყონდიდის მონასტერს შორის?

6. დააკვირდი ნიმუშს და მასზე დაყრდნობით დაასრულე ქვემოთ მოცემული წინადადებები. ამისათვის გამოიყენე სიტყვები: გემრიელი ლამაზი ძველი

ნიმუში. უდიდესი არის ყველაზე დიდი.

ა) უძველესი არის ყველაზე _____

ბ) ულამაზესი არის ყველაზე _____

გ) უგემრიელესი არის ყველაზე _____

III. ტექსტი - მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს დადიანების სასახლიდან ვიდრე დასასრულამდე (გვ. 10-12)

ენობრივი კომპონენტი: ტექსტის გაგება-გააზრება, ენობრივი კომპეტენციის განვითარება

1. უცხოეთის რომელი ქვეყნებიდან ჩამოტანილი მცენარეებია ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში?

2. **შეავსე წინადადებები.**

- ჯვრის წყალსაცავი საქართველოს ყველაზე _____ წყალსაცავია.
- ენგურის ჰიდროელექტროსადგური უდიდესია _____ _____.

3. დააკვირდი რუკას და შემოხაზე სამხრეთი კავკასიის რეგიონის ქვეყნები.

4. წაიკითხე, რა გააკეთეს ბიჭებმა და რგოლებში ჩაწერე, რა რის მერე მოხდა - მიუთითე შესაბამისი ციფრი.

ნიმუში. ბიჭებმა დაათვალიერეს უძველესი ციხეგოჯი.

- ○ ივახშმეს მირანდას ბიძის ოჯახში.
- ○ იყვნენ დადიანების სასახლეში.
- ○ გაემგზავრნენ სვანეთში.
- ○ იყვნენ სტუმრად ლალის ბებიასთან და ბაბუასთან.
- ○ მივიდნენ მარტვილის მონასტერში.